TOYOTA
ტოიოტა ცენტრი თბილისი
TOYOTA CENTER TBILISI
SINCE 1997 წლიდან

ტოიოტას ოფიციალური დილერი
TOYOTA OFFICIAL DEALER

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისს", ქ. თბილისში, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გააჩნია მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმო, რაზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 დეკემბრის #2-1238 ბრძანებით გაიცა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების ნებართვა (გადაწყვეტილება #6; 30.10.2019).

აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ გაცემული გადაწყვეტილების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულებულია კომპანიის მიერ, რაც დასტურდება კომპანიასა და სამინისტროს შორის მიმოწერით.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ შემდეგ დოკუმენტაციას:

1. გზშ ანგარიში;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
3. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. Shape ფაილები.

პატივისცემით,

ირაკლი გურჩიანი

გენერალური დირექტორი

შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი"
მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ. ტელ: +995 032 2 52 02 22; 032 2 511
info@toyota-tbilisi.com

№ 16248
"15" 10 2020